ტრენინგ-პროგრამის (სასწავლო კურსის) წარსადგენი ფორმა

პროგრამის განმახორციელებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა, პოზიცია) :

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; რეგიონული უზრუნველყოფის სამსახური

პროგრამის/ქვეპროგრამის, მოდულის/მოდულების დასახელება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო კლასში

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი; ფსიქოლოგ; მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი), სკოლის ადმინისტრაცია და ნებისმიერი სხვა სპეციალისტი, რომლის პროფესიული საქმიანობა უკავშირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის სწავლებას.

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და შერჩევის მექანიზმი:

ტრენინგზე დასწრებისთვის საკმარისია ტრენინგ მოდულზე დარეგისტრირება.

პროგრამის/ქვეპროგრამის, მოდულის/მოდულების მისაღწევი საბოლოო შედეგები:

მონაწილე იცნობს ინკლუზიური განათლების ისტორიას, პრინციპებს, ფილოსოფიას. აცნობიერებს ინკლუზიური განათლების, როგორც უმაღლ ხარისხის განათლების, მნიშვნელობას.

მონაწილე იცნობს ყველა იმ ეროვნულ და საერთაშორისო დოკუმენტს, რომლითაც რეგულირდება ინკლუზიური განათლება საქართველოში.

მონაწილე იცნობს განვითარების დარღვევების ტიპებს, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება სკოლაში.

მონაწილე იცნობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა აუცილებელ პრინციპს. შეუძლია ისგ გუნდის იდენტიფიცირ მოსწავლის საჭიროებების და უნარების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო მიზნების, ამოცანების და სტრატეგიების შერჩევა. დოკუმენტის წარმოება, მართვა, მონიტორინგი.

მონაწილე იცნობს სსსმ მოსწავლის კლასში ინტეგრაციის სტრატეგიებს

მონაწილეს შეუძლია სსსმ მოსწავლისთვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში გაკვეთილის დაგეგმვა.

ტრენინგზე მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა:

მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა 15 მსმენელი; მაქსიმალური - 25 მსმენელი;

გამონაკლის შემთხვევებში (მაგ. რეგიონებში, სადაც არ ხერხდება 15 მონაწილის შეკრება) დასაშვებია 15-ზე ნაკლები მსმენელი.

რეგიონული დაფარვა:

საქართველოს ყველა რეგიონი

პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება:

ტრენინგის ხანგძივობა შეადგენს 20 საკონტაქტო საათს; გრძელდება 5 დღე, დღეში 4 საათი. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს 4 დ
დღეში 5 საათი.

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მითითებით:

ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენს 20 საკონტაქტო და 10 დამოუკიდებელი მუშაობის(სატრენინგო) საათს; პროგრამის მოცულობა შეადგენ
კრედიტს.

ადამიანური რესურსი - მწვრთნელების/ტრენერების სავარაუდო რაოდენობა, წამყვანი მწვრთნელის/ტრენერის ვინაობა:

ტრენინგს ატარებს ცენტრის ინკლუზიური განათლების ტრენერები.

მწვრთნელის/ტრენერის დატვირთვა დღეში:

ტრენინგის ხანგრძლივობა არის 5 დღე, დღეში 4 საათი. შესაბამისად ტრენერი ატარებს დღეში 4 საათს. (ემატება შესვენების დრო რომელიც შეთანხმებულია კოორდინატორთან და ჯგუფთან)

მატერიალური და ტექნიკური რესურსი:

ფლიპჩარტი; მარკერი სხვადასხვა ფერის, ფერადი ფურცლები; პროექტორი, ლეპტოპი, ხმის გამაძიერებელი (დინამიკი).

სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები:

იმისთვის, რომ მონაწილემ მიიღოს სერტიფიკატი, მოქმედი მასწავლებლის შემთხვევაში შეიძინოს შესაბამისი კრედიტ ქულა, საჭიროა დაესწროს ტრენინგის მინიმუმ 80%ს და შეფასების სქემაზე დააგროვოს ქულათა მინიმუმ 60 % (24 ქულა.)

მასწავლებელთა შეფასების სისტემა:

მონაწილეთა შეფასებითვის გამოიყენება მონაწილეთა ტესტირება. ტესტირება ტარდება მეორე, მესამე და მეოთხე დღეს, ტრენინგის დასაწყისში დ ეთმობა 15 წუთი. ტესტი შედგენილია (ტრენერის მიერ) წინა დღეს განვლილი მასალის მიხედვით. შედგება 5 შეკითხვისგან და ფასდება მაქსიმალური 5 ქულით. ჯამში სამივე ტესტირებაში მონაწილეს შეუძლია დააგროვოს მაქსიმალური 15 ქულა.

ასევე ფასდება მონაწილეების მიერ ბოლო დღეს პრაქტიკული დავალების შესრულება, კერძოდ, გაკვეთილის დაგეგმვა, სადაც გათვალისწინებულია როგორც კლასის, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტერესები. დავალება ფასდე მაქსიმალური 25 ქულით (შეფასების კრიტერიუმიები იხ. დანართში).

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეუძლია მონაწილემ დააგროვოს ტრენინგში, არის 40 ქულა.

პროგრამის თვითშეფასების სისტემა:

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეები ავსებენ კითხვარს ტრენინგის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

შევსებული კითხვარი და ტესტი მიგვაქვს კოორდინატორთან.